



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„იავნანა“

„იავნანა“, ძვ. ქართული ხალხური საწესო ლექს-სიმღერა, წარმოშობით წარმართული საკულტო რიტუალის უძველესი საგალობელი. „ნანინას“ ციკლის სიმღერების მსგავსად „ი-ც“ მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას სახელთანაა დაკავშირებული. „ი-მ“ დაკარგა პირვანდელი საწესო ხასიათი. დღეს მისი დანიშნულებაა ბავშვის დაძინება, თუმცა ჩვენამდე მოღწეულ ზოგიერთ ტექსტს ინფექციური დაავადებებისაგან (ე. წ. „ბატონებისგან“) ბავშვის განსაკურნებლადაც მღერიან. „ი-ს“ ციკლის ლექსებს აქვს ისტ.-შემეცნებითი და დიდაქტიკურ-ესთეტ. მნიშვნელობა. „ი.“ გამოირჩევა მარტივი, მაგრამ შთამბეჭდავი მღერადი მელოდიით, რ-საც ასრულებს ერთი ან მონაცვლეობით ორი მთქმელი (ქალი) გაბმული (ბურღონული) ბანის ფონზე. სიმღერა ერთმუხლოვანია და მდორედ ვითარდება. იგი უმთავრესად ქართლ-კახურ ფოლკლორში გვხვდება. იმერულ და გურულ სასიმღერო შემოქმედებაში უფრო გავრცელებულია „საბოდიშო“ ანუ „ბატონები“, სამეგრელოში – „ია პატნეფი“. საქართვე. სხვადასხვა კუთხეში არსებობს განსხვავებული „ი-ები“, მაგ., სამკურნალო „ი.“, რ-იც ფანდურის თანხლებით სრულდება. ჰანგითა და სიტყვიერი ტექსტით „ბატონებისაგან“ სრულიად განსხვავებულია ღვთის კარზე სათქმელი „ი.“ (ორ- ან სამხმიანი, გავრცელებული კახეთში, მთიულეთში), რ-საც ასრულებენ სალოცავში მისული ქალები.

ღვთის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულების ნაწილი – ზედაშის „ი.“ – შემორჩენილია კახეთში. მას უხუცესი ქალი ასრულებს ზედაშის ქვევრთან, ოჯახის სხვა წევრების ბანის ფონზე. იგი მრავალგვარი ნიშნით სახადისა და სავედრებელი „ი-ების“ მსგავსია. მეცნიერები „ი-ს“ ჰანგს უძველეს ინტონაციურ ფორმულად მიიჩნევენ, რ-იც საფუძვლად უდევს სხვა ფუნქციის მქონე არაერთ ნიმუშს. „ი-ს“ მელოდიას დამუშავებული სახით ვხვდებით ნ. ავალიშვილის, მ. ბალანჩივაძის და სხვათა შემოქმედებაში. ქართ. მხატვრულ ლიტ-რაში „ი-ს“ მოტივებზე შექმნეს ლექსები რ. ერისთავმა, ა. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძემ,

გ. ტაბიძემ და სხვ.

ლიტ.: ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი შ., ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, თბ., 1954; ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი ა., ქართული ხმები, ტფ., 1885; გ ა რ ა ყ ა ნ ი ძ ე გ., ეთნომუსიკის თეატრის ერთი უცნობი ნიმუშისათვის (ზედაშის იავნანა), წგ.: ტრადიციული მრავალხმიანობის მეექვსე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 2014; ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ფ., ქართული აკვნის ლექს-სიმღერები, ჟურნ. «მაცნე», 1964, №2; ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე გ., ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა, თბ., 1948; ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე ზ., სალამური. სახალხო სიმღერები, ტფ., 1896; А р а к и ш в и л и Д. И., Грузинское народное музыкальное творчество М., 1916.

გ. ჩხიკვაძე

ნ. კალანდაძე
